ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**16-01183113133**
თარიღი: **07/11/2018**

ადრესატი:

თეონა ახალაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ქალბატონო თეონა,

2018 წლის 6 ნოემბრის თქვენი N17-01183102666-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, სექტორი - ნაძალადევი, თ. ერისთავის ქუჩა N8, შპს "ალფა რეზიდენსი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.12.12.003.087, 01.12.12.003.090 და 01.12.12.003.086), განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების არქიტექტურული პროექტების შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემასთან (AR1605789, AR1605910 და AR1619660) დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირებას, გაცნობებთ:

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში შეიცავს ხარვეზებს და უზუსტობებს, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გაანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

საპროექტო ტერიტორია საზოგადოებრივი ტრანსპორტით კარგად არის მომსახურებული. უახლოესი ავტობუსის გაჩერებები მდებარეობს საპროექტო ტერიტორიიდან თ. ერისთავის ქუჩაზე დაახლოებით 250-300 მეტრის მანძილზე, ხოლო მ/ს დიდუბე დაახლოებით 600 მეტრის მანძილზე. შესაბამისად, კარგია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის ხარისხიც. კარგია საქვეითე ინფრასტრუქტურის ხარისხი საპროექტოს მიმდებარე ტერიტორიაზე. უნდა აღნიშნოს, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობის თვალსაზრისით მიმდებარე კვანძებზე შეინიშნება გადატვირთულობა თუმცა, საქვეითე და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარების შემდგომ, ქალაქის ძირითად სატრანსპორტო დერეფნების მიმდებარე განაშენიანებებში მოსალოდნელია მოდალურ განაწილებაში ინდივიდუალური მანქანით გადაადგილების წილის შემცირება, ან მინიმუმ, არსებულ ნიშნულზე დარჩენა. შესაბამისად, მოსალოდნელია აღნიშნული კვანძების განტვირთვა.

შესათანხმებელია მოძრაობის ორგანიზების სქემა. სამსახურის მიერ სქემის შეთანხმების შემთხვევაში, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა²“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არ არის აღნიშნული არქიტექტურული პროექტების შეთანხმების (AR1605789, AR1605910 და AR1619660) წინააღმდეგი.

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)